დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- დადგენილების თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება.

აღნიშნული პროექტის მიღება იწვევს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის #4 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან ,,ნორმატიული აქტების შესახებ“- საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი
სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა
და ექსპერტიზის საკითხებში: ნინო ვაჩეიშვილი